



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.492121114

თარიღი:30/07/2021

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 55**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში, ე.წ. „დოლაბერიძეების“ უბანში არსებულ ფრენბურთის მოედნის ტერიტორიაზე, ამირან ნოდარის ძე დოლაბერიძის**

**მემორიალური დაფის განთავსების შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ განიხილა სოფელ მაღლაკის მოსახლეობის განცხადება, რომელიც შეეხებოდა გამოჩენილი ფრენბურთელის (რომელსაც უთამაშია საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში, მიღებული აქვს წლის საუკეთესო ფრენბურთელის ჯილდოები, ასევე არაერთი დიპლომები და სიგელები) - ამირან ნოდარის ძე დოლაბერიძის მემორიალი დაფის განთავსების საკითხს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში, ე.წ. „დოლაბერიძეების“ უბანში არსებულ ფრენბურთის მოედნის ტერიტორიაზე განთავსდეს ამირან ნოდარის ძე დოლაბერიძის მემორიალური დაფა.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

